აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის კვლევების განვითარების სტრატეგია

EWUNI

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
დამტკიცებულია პრეზიდენტის № 01-12 ბრძანებით
თარიღი: 11 თებერვალი 2025

სარჩევი

მიზნები და ამოცანები	2
კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდაჭერა	2
სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების შიდა დაფინანსების სისტემა	3
საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა	4
კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გადაწყვეტილება	4
საგრანტო კონკურსის მიზანი, საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი	4
საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები	4
საკონკურსო დოკუმენტაცია, წარმოდგენის წესები და ვადები	5
საგრანტო პროექტის შეფასება	6
საგრანტო ხელშეკრულება	7
საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი	7
დამატებითი მოთხოვნები	8
კვლევის ეთიკის სტანდარტი	8
აკადემიური თავისუფლება	9
კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები	9
აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის გაზრდა	10
სტრატეგიის დამტკიცება	11

მიზნები და ამოცანები

1. წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული განვითარების გეგმის და, აგრეთვე, სხვადასხვა წარმატებული უნივერსიტეტის გამოცდილების გათვალისწინებით და მისი მიზანია უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრის, კვლევითი პროცესის მხარდაჭერის მექანიზმების ჩამოყალიბება.

2. საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სახელმწიფო პრიორიტეტების, კვლევების განვითარების თანამედროვე ტენდენციების, უნივერსიტეტის სკოლების მოსაზრებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

3. სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორი. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი მთავარია აკადემიური წლის ბოლოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების დროს, რისთვისაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შექმნილი აქვს სპეციალური ფორმა.

კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდაჭერა

1. სამეცნიერო კვლევების საუნივერსიტეტო მხარდაჭერის სისტემა მოიცავს უნივერსიტეტის სკოლებში კვლევების მხარდამჭერი სტრუქტურების შექმნას და განვითარებას, კვლევების ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორების გამოკვეთას, საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის, პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და კვლევების ინფორმაციული უზრუნველყოფის დანერგვას.

2. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის სკოლებში შექმნილია სამეცნიერო კვლევების განვითარების სამსახურები. უნივერსიტეტის სტრუქტურის შესაბამისად სამსახურებს კურირებს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი შესაბამისი მიმართულებით.

3. კვლევების განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევის განვითარების ხელშეწყობას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსში კვლევითი კომპონენტის ჩართვის პროცესების კოორდინაციას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

4. კვლევების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების განსახორციელებლად შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- შეიმუშავებს უნივერსიტეტის სკოლის კვლევითი საქმაინობის მხარდაჭერის აქტივობების გეგმას სკოლის აკადემიურ გუნდთან ერთად;

- კოორდინირებას უწევს სკოლის კვლევითი აქტივობების განხორციელებას (ფუნდამენტური, გამოყენებითი და პრაქტიკული კვლევები, ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევები, კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა);
- აანალიზებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანგარიშებს და ამზადებს დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომელიც წარედგინება სკოლის საბჭოს;
- მონიტორინგს უწევს შესაბამისი სკოლის ფარგლებში საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების შესრულებას;
- ამზადებს დასკვნას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეცნიერო კვლევის განვითარებისთვის;
- უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარებას საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობისა და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების გზით, უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობით.

5. სამეცნიერო კვლევის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის, მისი ცალკეული საგანმანათლებლო ერთეულის ან საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ფარგლებში, შესაძლებელია შეიქმნას დამოუკიდებელი კვლევითი ერთეული, როგორიცაა ლაბორატორია, კვლევითი ინსტიტუტი, დეპარტამენტი, ცენტრი და სხვა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების შიდა დაფინანსების სისტემა

1. კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის, უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს მარეგულირებელ დათქმებს კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის და განსაზღვრავს კვლევების დაფინანსების/თანადაფინანსების წესებს, ასევე დაფინანსებაზე უარის თქმის კრიტერიუმებსა და პროცედურებს. მნიშვნელოვანი კვლევითი პროექტების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე.უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან კვლევების განვითარებისათვის და კვლევითი გრანტებისათვის გამოყოფილი დაფინანსება და გარე წყაროებიდან მიღებული დაფინანსება.

2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ოდენობა დარჩეს სათანადო დონეზე ან გაიზარდოს ყოველ შემდეგ სასწავლო წელს, რათა ხელი შეუწყოს კვლევების მდგრადობასა და განვითარებას.

3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების ადმინისტრირებასა და კოორდინაციაში უნივერსიტეტის მონაწილეობის მთავარი პირობაა აკადემიური პერსონალის პროექტში ჩართულობა უნივერსიტეტის სახელით. აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდისა და

საერთაშორისო კვლევით პროექტებში მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი რეგულარულად გამართავს ტრენინგებს შემდეგ საკითხებზე: სამეცნიერო გრანტების მოძიების მეთოდები, სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერის ტექნიკა, სამეცნიერო გრანტის მართვა და სხვა.

საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა

1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები ზრუნავენ კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევით მიღწევებზე აკადემიური საზოგადოების ინფორმირებისთვის. უნივერისტეტის პერსონალს და სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების და პროექტების შესახებ.

2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს საუნივერსიტეტო გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე, ასევე მათ ინდექსირებადობაზე მსოფლიო სამეცნიერო გამოცემების ბაზაში. საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია, მკვლევარები, რეცენზენტები და მათი სამეცნიერო ნაშრომები, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სამეცნიერო პორტალის საშუალებით.

კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გადაწყვეტილება

1. კვლევითი საქმიანობის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას, კვლევის ავტორის/ების განაცხადისა და კვლევების განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების და სკოლების წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2. კვლევითი საქმიანობის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს ადმინისტრაციული და ფინანსური ვიცე-პრეზიდენტი და შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების ექსპერტი.

საგრანტო კონკურსის მიზანი, საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

1. სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის სამეცნიერო- კვლევითი პოტენციალის სრულად ამოქმედება, ახალი ცოდნის შექმნა, მკვლევართა საერთაშორისო აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში ინტეგრაციის ხელშეწყობა

2. კონკურსისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით გამოიყოფა თანხა

3. კონკურსის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საგრანტო კონკურსის კომისია

4. საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის რაოდენობა მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისა და გრანტის მოპოვების უფლება აქვს უპირატესად აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, თუმცა პროექტის წარმოდგენა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ აკაემიურ და მოწვეულ პერსონალს.

2. პროექტი უნდა წარმოადგინოს პირთა ჯგუფმა, პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს ერთზე მეტ პროექტში

3. პროექტის თემატიკა თანხვედრაში უნდა იყოს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან, რომელიც მტკიცდება პრეზიდენტის მიერ აკადემიური საბჭოს წარდგენით.

4. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს აკადემიური დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი

5. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი – აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განახორციელებს, ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, პროექტის მართვაზე

6. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში

7. სასურველია პროექტში კონსულტანტის სტატუსით ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში

8. კონკურსში მონაწილე სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი არ უნდა იყოს წარდგენილი სხვა საგრანტო კონკურსზე

საკონკურსო დოკუმენტაცია, წარმოდგენის წესები და ვადები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უფლებამოსილმა სუბიექტებმა დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინონ საგრანტო პროექტის განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

2. საგრანტო პროექტის განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

   2.1. განაცხადი ხელმოწერილი და ელექტრონული სახით - (დანართი 1),
   2.2. საპროექტო წინადადება (დანართი 2);
   2.3. პროექტის დასაბუთებული ბიუჯეტი (დანართი 3);
   2.4. პროექტის განხორციელების გეგმა (დანართი 4);
   2.5. კვლევის ეთიკის საკითხების გათვალისწინება პროექტში და მათი უზრუნველყოფის სტრატეგია (დანართი 5)
   2.6. გარე აკადემიური პერსონალის ან მკვლევარების, მათ შორის უცხოელი კონსულტანტის, თანხმობის წერილი მონაწილეობის შესახებ და და CV-ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
3. საგრანტო კონკურსის შესახებ განაცხადი კეთდება საჯაროდ
4. საბუთების მიღების ვადები განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანების თანხმად.

საგრანტო პროექტის შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისი პროექტები შესაფასებლად ეგზავნება დამოუკიდებელ დარგობრივ ექსპერტთა ჯგუფს, რომელთაც შეარჩევს აკადემიური საბჭო.

2. კომისია უფლებამოსილია კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის დადგენილ მოთხოვნებს.

3. დარგობრივ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხდება პროექტის შეფასება წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით

4. საგრანტო პროექტი ჯამში ფასდება 50 ქულით, ძირითადი ორი კრიტერიუმის მიხედვით: პროექტის სამეცნიერო/პრაქტიკული ღირებულება და პროექტის განხორციელების პროცესი. თითოელი კრიტერიუმი იყოფა 5 ქვეკრიტერიუმად. თითოეული ქვეკრიტერიუმი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

5. კრიტერიუმები და ქვეკრიტერიუმები

პროექტის სამეცნიერო/პრაქტიკული ღირებულება	
1	საკვლევი თემის აქტუალობა
2	კვლევის სიახლე და მიზნების ჩამოყალიბება
3	კვლევის მეთოდების რელევანტურობა კვლევის მიზნებთან
4	კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება
5	კვლევის შედეგების გავრცელება

პროექტის განხორციელების პროცესი	
1	პროექტის ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან
2	პროექტის განხორციელების რეალისტურობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებთან
3	პროექტის ბიუჯეტის რელევანტურობა კვლევის მიზნებთან და დაგეგმილ აქტივობებთან
4	კვლევის ეთიკა, შესაძლო რისკების ანალიზი და მართვა
5	პროექტის განხორციელებისას ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

6. ქვეკრიტერიუმების შეფასების კრიტერიუმები:

5 ქულა	*პროექტი საუკეთესოდ პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, შეიძლება არსებობდეს უმნიშვნელო ცალკეული შენიშვნები, რომლებიც არ ეხება სამეცნიერო პოტენციალს.*
4 ქულა	*პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს. გამოკვეთილია ორიგინალურობა და სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა საწიროებს დახვეწას.*
3 ქულა	*პროექტი კარგად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.*
2 ქულა	*პროექტი ზოგადად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.*
1 ქულა	*პროექტი არ პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.*
0 ქულა	*პროექტი არ პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, შეუძლებელია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.*

საგრანტო ხელშეკრულება

1. გამარჯვებული საგრანტო პროექტების დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებთან და პროექტებში მონაწილე პერსონალთან ხელშეკრულებების გაფორმებას

2. საგრანტო ხელშეკრულებაში გაიწერება პროექტით განსაზღვრული კვლევის შესახებ ინფორმაცია

3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ეტაპობრივად, წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით. ავანსის სახით, საგრანტო თანხა გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე. პირველი ტრანში გადაირიცხვა მოხდება

ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება პროექტის ანგარიშების წარდგენის საფუძველზე.

4. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე

5. საგრანტო კომისიის თანხმობით, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება

საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უნივერსიტეტის საგრანტო კომისიას წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორცილებული საქმიანობის ანგარიში.

2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და განხორციელების მონიტორინგს:

   2.1 ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში კომისიის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
   2.2 განხორციელების მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას

დამატებითი მოთხოვნები

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია რეფერირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

2. პუბლიკაციებში სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

კვლევის ეთიკის სტანდარტი

1. აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს კვლევის ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტი, საკუთარი მისიის შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში კვლევის ეთიკის პრინციპის გაცნობიერებასა და სათანადო ეთიკური ქცევის წესის დამკვიდრებას. კვლევის ეთიკის სტანდარტი შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიის, დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. სტანდარტის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში კვლევის ობიექტურ განხორციელებას, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის განვითარებას, აკადემიურ თავისუფლებას და

მიუკერძოებლობას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას და დამკვიდრებას, ასევე საერთაშორისო დონის ნაშრომების გამოქვეყნებას და რეცენზირებას. სტანდარტის მიზანია ასევე კვლევის მონაწილეების ღირსების, უფლებების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის დაცვა.

3. სტანდარტი ემყარება და იცავს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მაღალი ეთიკური სტანდარტის დანერგვას.

4. სტანდარტი განსაზღვრავს კვლევის პროცესში კვლევის ეთიკის პრინციპებს, ასევე კვლევის ეთიკის კომიტეტის სტატუსსა და უფლებამოსილებას.

5. კვლევის ეთიკა არის მორალური წესების და პროფესიული კოდების ერთობლიობა, რომლითაც მკვლევარები ხელმძღვანელობენ სამეცნიერო კვლევაში და რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალობის დაცვაზე ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, წარდგენის და პუბლიკაციის პროცესში. ამას თან ახლავს კვლევის ობიექტის უფლება უარი თქვას მონაცემების მიწოდებასა თუ პირადი აზრის გამოთქმაზე.

აკადემიური თავისუფლება

1. აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის უმთავრესი ღირებულებაა. უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებსს, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გულისხმობს აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.

2. ზემოაღნიშნული პრინციპის შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ასევე მკვლევარებს და სტუდენტებს უფლება აქვთ უნივერსიტეტის სახელით განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის, უსაფუძვლო ჩარევისა და შეზღუდვის გარეშე.

კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

1. სამეცნიერო კვლევა წარმოადგენს პროცესს, რომელიც ცოდნის მიღწევას უზრუნველყოფს დაკვირვების, ჰიპოთეზების ფორმულირების, ექსპერიმენტების ჩატარებისა და შედეგების ანალიზის მეშვეობით.

2. უნივერსიტეტის სახელით ან მის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. მეცნიერული ანალიზი უნდა გამოირჩეოდეს რაციონალურობით, საკითხების კრიტიკული შეფასებით, ფაქტების მოძიებისა და გათვალისწინებით. ნაშრომი უნდა იყოს ღია კრიტიკისთვის, შემოწმებადი, არადოგმატური, საიმედო და დაფუძნებული ანალიზზე, ხოლო არა ინსტინქტებზე.

3. უნივერსიტეტის სახელით ან მის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს კვლევის ეთიკის ძირითად პრინციპებს, რომლებიც მოიცავს: კეთილსინდისიერებას,

ობიექტურობას (ინტერსუბიექტურობას), მნიშვნელოვნებას, ორიგინალურობას, აზრობრივ და ენობრივ სიცხადეს, ვალიდურობას, გადამოწმებადობას და გამჭვირვალობას.

4. კეთილსინდისიერება წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის მთავარ საფუძველს. მკვლევარმა უნდა დაადასტუროს ყველა გამოყენებული წყარო და ნათლად წარმოადგინოს არგუმენტაციის აგების პრინციპი. სამეცნიერო მუშაობის პროცესში დაუშვებელია მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება ან შედეგების გამოგონება.

5. სამეცნიერო ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მაქსიმალური ნეიტრალობით და არ უნდა ასახავდეს ავტორის პირად სიმპათიებს ან დამოკიდებულებას საკვლევი საკითხის მიმართ. მკვლევარის დაკვირვებები და არგუმენტები უნდა იყოს საქმიანად და მიუკერძოებლად ჩამოყალიბებული, დაფუძნებული ლოგიკურ დასაბუთებაზე. აუცილებელია, რომ მკვლევარმა თავი შეიკავოს ემოციური ან დაუსაბუთებელი მოსაზრებებისგან და არგუმენტაციის პროცესში წარმოაჩინოს სხვადასხვა პერსპექტივა. ეს მკითხველს მისცემს შესაძლებლობას დამოუკიდებლად განავითაროს საკუთარი მოსაზრებები.

6. ობიექტურობა: მნიშვნელოვნება არის ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დისციპლინის განვითარებას. განსაკუთრებით ღირებულია ნაშრომები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ინფორმაციულობით (კომპილაციური გამოკვლევა) ან რომლებიც აქტიურად შეიტანენ წვლილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. შესაბამისად, როდესაც მკვლევარი თემის შერჩევას იწყებს, უპირველესად უნდა გაიაზროს, რა არის ისეთი საკითხი, რომლის კვლევა დარგს წინ წასწევს, როგორ შეიძლება შეიქმნას ახალი ცოდნა და რა ნაბიჯებია საჭირო კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად.ორიგინალურობა: სამეცნიერო ნაშრომის ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.

7. აზრობრივი და ენობრივი სიცხადე: სამეცნიერო ნაშრომის ენა უნდა იყოს მარტივი, ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი. წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული ისე, რომ არ დარჩეს ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ამის მისაღწევად, მკვლევარმა უნდა გამოიყენოს სადა და გასაგები ფორმულირებები, თავი უნდა აარიდოს ხატოვან სტილს და გრძელ, რთულ ქვეწყობილ წინადადებებს, რაც ართულებს ტექსტის აღქმასა და გაგებას.

   ასევე, მკვლევარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მართლწერასა და სტილისტურ სიზუსტეზე, რათა თავიდან აიცილოს გრამატიკული და ბეჭდური შეცდომები. ნაშრომში უნდა იყოს გამოყენებული სამეცნიერო მეტა-ენა (აღწერითი ენა) და ზომიერად გამოყენებული დარგობრივი ტერმინები. საჭიროების შემთხვევაში, ტერმინები მკაფიოდ უნდა განიმარტოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა ან ბუნდოვანება, რაც შესაძლოა გამოიწვიოს ტერმინთა მრავალმნიშვნელოვნებამ.

8. საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა: სამეცნიერო ნაშრომი უნდა იძლეოდეს წამოჭრილი თვალსაზრისის შემოწმებისა და, საჭიროების შემთხვევაში, უარყოფის შესაძლებლობას. აუცილებელია, რომ ნაშრომში საკვლევი პრობლემა სრულყოფილად იყოს გააზრებული. ამასთან, გამოყენებული

სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა კვლევითი ხელსაწყოები უნდა იყოს საგულდაგულოდ შერჩეული, ხოლო მათ შორის კავშირი მკაფიოდ და ლოგიკურად უნდა იყოს წარმოდგენილი.გამჭვირვალობა/გადამოწმებადობა: სამეცნიერო ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აიგოს, ხოლო მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ უნდა იყო დამოწმებული, რათა მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, წარმოდგენილი კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.

9. მკვლევარის პასუხისმგებლობა და მიუკერძოებლობა: მკვლევარი ვალდებულია კვლევის მონაცემები ზუსტად და მიუკერძოებლად წარადგინოს. იგი უნდა იყოს გამჭვირვალე და მიუთითოს კვლევის შეზღუდვები და სისუსტეები, ასევე გაუზიაროს ეს ინფორმაცია კოლეგებს. მკვლევარმა არ უნდა დაუმალოს მკითხველს, თუ კვლევის ჰიპოთეზა არ გამართლდა. პასუხისმგებლობა ვრცელდება როგორც კვლევის მონაწილეების, ისე აკადემიური საზოგადოების წინაშე, რაც მოითხოვს პატიოსნებას და სამეცნიერო ეთიკის პრინციპების დაცვას.

აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის გაზრდა

1. უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალისთვის კონტრაქტის გაგრძელების დროს ითვალისწინებს მათ სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის რეალიზაციას და კვლევაში ჩართულობას.

2. უნივერსიტეტი აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის მხარდასაჭერად თითოეულ აფილირებულ პერსონალს ყოველწლიურად გამოუყოფს შესაბამის ბიუჯეტს (პროფესორს 3000 ლარის ოდენობით, ასოცირებულ პროფესორს 2000 ლარის ოდენობით, ასისტენტ-პროფესორს 1500 ლარის ოდენობით). ეს თანხა შესაძლოა გამოყენებული იყოს კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, სამეცნიერო პუბლიკაციების დასაფინანსებლად, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სხვ.

სტრატეგიის დამტკიცება

1. წინამდებარე სტრატეგია მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
2. წინამდებარე სტრატეგიის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე